

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2017 წლის 30 ივნისის №29 სხდომის

d a d g e n i l e b a №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 30 ივნისის №29 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის დაცვის სექტორის შექმნის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: შეიქმნას საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის დაცვის სექტორი და დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილებას დაემატოს ერთი სამტატო ერთეული – სექტორის უფროსი, სახელფასო განაკვეთით თვეში 700 ლარი.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2017 წლის 30 ივნისის №29 სხდომის

d a d g e n i l e b a №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 30 ივნისის №29 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ფაკულტეტების საშტატო განრიგებში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-12 და მე-15 მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს სტუ-ის ფაკულტეტების საშტატო განრიგებში განსახორციელებელი ცვლილებები, კერძოდ:

1.1 სამშენებლო ფაკულტეტზე დამხმარე პერსონალი განისაზღვროს 115 საშტატო ერთეულით და, შესაბამისად, სახელფასო ფონდი თვეში – 64 710 ლარით. აკადემიური პერსონალი – 147 ერთეულით და, შესაბამისად, სახელფასო ფონდი თვეში - 150 618,75 ლარით;

1.2 ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე დამხმარე პერსონალი განისაზღვროს 89,5 საშტატო ერთეულით და, შესაბამისად, სახელფასო ფონდი თვეში – 45 245 ლარით. აკადემიური პერსონალი – 162 ერთეულით და, შესაბამისად, სახელფასო ფონდი თვეში – 126 140 ლარით;

1.3 სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე დამხმარე პერსონალი განისაზღვროს 90 საშტატო ერთეულით და, შესაბამისად, სახელფასო ფონდი თვეში – 42 385 ლარით. აკადემიური პერსონალი – 75 ერთეულით და, შესაბამისად, სახელფასო ფონდი თვეში – 65 130 ლარით;

1.4 ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე დამხმარე პერსონალი განისაზღვროს 104,5 საშტატო ერთეულით და, შესაბამისად, სახელფასო ფონდი

თვეში – 46 050 ლარით. აკადემიური პერსონალი – 122 ერთეულით და, შესაბამისად, სახელფასო ფონდი თვეში – 83 870 ლარით;

1.5 სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე დამხმარე პერსონალი განისაზღვროს 99,5 საშტატო ერთეულით და, შესაბამისად, სახელფასო ფონდი თვეში – 50 740 ლარით. აკადემიური პერსონალი – 126 ერთეულით და, შესაბამისად, სახელფასო ფონდი თვეში – 94 795 ლარით;

1.6 არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე დამხმარე პერსონალი განისაზღვროს 27 საშტატო ერთეულით და, შესაბამისად, სახელფასო ფონდი თვეში – 20 390 ლარით. აკადემიური პერსონალი – 51 ერთეულით და, შესაბამისად, სახელფასო ფონდი თვეში – 40 705 ლარით;

1.7 სამართალისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე დამხმარე პერსონალი განისაზღვროს 41 საშტატო ერთეულით და, შესაბამისად, სახელფასო ფონდი თვეში – 32 285 ლარით. აკადემიური პერსონალი – 104 ერთეულით და, შესაბამისად, სახელფასო ფონდი თვეში – 117 462,50 ლარით;

1.8 ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე დამხმარე პერსონალი განისაზღვროს 202 საშტატო ერთეულით და, შესაბამისად, სახელფასო ფონდი თვეში – 97 705 ლარით. აკადემიური პერსონალი – 252 ერთეულით და, შესაბამისად, სახელფასო ფონდი თვეში – 255 065 ლარით;

1.9 დიზაინის საერთაშორისო სკოლაში დამხმარე პერსონალი განისაზღვროს 7 საშტატო ერთეულით და, შესაბამისად, სახელფასო ფონდი თვეში – 10 475 ლარით. აკადემიური პერსონალი – 2 ერთეულით და, შესაბამისად, სახელფასო ფონდი თვეში – 3 600 ლარით;

1.10 აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე დამხმარე პერსონალი განისაზღვროს 55,5 საშტატო ერთეულით და, შესაბამისად, სახელფასო ფონდი თვეში – 35 485 ლარით. აკადემიური პერსონალი – 25 ერთეულით და, შესაბამისად, სახელფასო ფონდი თვეში – 31 500 ლარით;

1.11 ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე დამხმარე პერსონალი განისაზღვროს 58 საშტატო ერთეულით და, შესაბამისად, სახელფასო ფონდი თვეში – 37 865

ლარი. აკადემიური პერსონალი – 80 ერთეულით და, შესაბამისად, სახელფასო ფონდი თვეში – 88 025 ლარით;

1.12 საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დამხმარე პერსონალი განისაზღვროს 42 საშტატო ერთეულით და, შესაბამისად, სახელფასო ფონდი თვეში – 31 865 ლარით. აკადემიური პერსონალი – 66 ერთეულით და, შესაბამისად, სახელფასო ფონდი თვეში – 74 443,75 ლარით;

2. დამტკიცდეს საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანით გამოწვეული შრომის ანაზღაურების ახალი თანამდებობრივი სარგოები წარმოდგენილი დანართის შესაბამისად, რომლის ამოქმედების ვადად განისაზღვროს 2017-2018 სასწავლო წლის დასაწყისი.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2017 წლის 30 ივნისის №29 სხდომის

d a d g e n i l e b a №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 30 ივნისის №29 სხდომაზე სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ბექა მაისურაძემ წარმოადგინა საკითხი უნივერსიტეტის შინაგანაწესში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2014 წლის 18 სექტემბრის №59 სხდომის №1 დადგენილებით დამტკიცებულ „უნივერსიტეტის შინაგანაწესში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. უნივერსიტეტის პერსონალის სამუშაოზე მიღება ხორციელდება უნივერსიტეტთან დადებული შრომითი ხელშეკრულების ან/და შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, საქართველოს შრომის კოდექსით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და უნივერსიტეტის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით და განსაზღვრული ვადით.“

ბ) მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პერსონალის სამსახურებრივი უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით, ამ შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით, საუნივერსიტეტო დებულებებითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით ან/და ინდივიდუალურ სამუშაოთა აღწერილობის ინსტრუქციით.“

გ) მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის, ასევე მოწვეულ სპეციალისტთათვის ყოველწლიური შვებულება, როგორც წესი, ემთხვევა ზაფხულის არდადეგებს და შეადგენს როგორც წესი, 45 სამუშაო დღეს, სხვა პერსონალისათვის კი შვებულების ხანგრძლივობა განისაზღვრება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებით, საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად.“

დ) 27-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 27. არასაპატიო მიზეზით სამუშაოზე გამოუცხადებლობის შედეგები

1. არასაპატიო მიზეზით სამუშაოზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით და ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით დადგენილი დისციპლინური ღონისძიებანი.

2. უნივერსიტეტის აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის, აგრეთვე მოწვეული სპეციალისტების მიერ სემესტრის განმავლობაში საათობრივი დატვირთვის 20%-ზე მეტი ოდენობით არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევა ჩაითვლება შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეშ დარღვევად და პირთან დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად.“

ე) 32-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. პერსონალის დისციპლინური სახდელის სახეებია:

ა) შენიშვნა;

ბ) საყვედური;

გ) 10 სამუშაო დღის ხელფასის დაკავება;

დ) მკაცრი საყვედური;

ე) დაბალ ანაზღაურებაზე გადაყვანა (3-დან 6 თვემდე ვადით);

ვ) სამსახურიდან დათხოვნა.“

2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2017 წლის 30 ივნისის №29 სხდომის

d a d g e n i l e b a №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 30 ივნისის №29 სხდომაზე სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ბექა მაისურაძემ წარმოადგინა საკითხი უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2014 წლის 15 ოქტომბრის №62 სხდომის №1 დადგენილებით დამტკიცებულ უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსსა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) კოდექსის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. სამეცნიერო პერსონალი

1. სამეცნიერო პერსონალის მოვალეობაა კვლევისა და ინოვაციების საშუალებით შექმნას ბაზა, რათა სასწავლო პროცესი არ ჩამორჩეს საზოგადოების ცვალებად მოთხოვნებსა და სამეცნიერო ცოდნის მიღწევებს. ამ მიზნით ის:

ა) მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდეს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან;

ბ) არ დაუშვას კვლევის შედეგების გაყალბება, პლაგიატი, სხვა მეცნიერის კვლევების შედეგების არაკანონიერი გამოყენება, არ უნდა დაარღვიოს სხვისი უფლებები (მათ შორის: საავტორო) ინტელექტუალურ საკუთრებაზე;

გ) უნდა შექმნას სამეცნიერო კვლევების ჩატარების ისეთი პირობები, რომლითაც კოლეგებსა და სტუდენტებს ხელი არ შეეშლებათ სწავლისა და კვლევის პროცესში, არ მიადგება ზიანი მათ ჯანმრთელობას;

დ) უფლებამოსილია დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები, საშუალებები და მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებაში.“

ბ) კოდექსის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აკადემიური, სამეცნიერო და მასწავლებელთა პერსონალის, ასევე მოწვეული სპეციალისტებისთვის დაწესებულია დისციპლინური სახდელის შემდეგი სახეები:

- ა) შენიშვნა;
- ბ) საყვედური;
- გ) 10 სამუშაო დღის ხელფასის დაკავება;
- დ) მკაცრი საყვედური;
- ე) სამსახურიდან დათხოვნა. “

გ) კოდექსის მე-12 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ფაკულტეტის აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის, ასევე მოწვეული სპეციალისტების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, ასევე ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წინააღმდეგ დისციპლინური წარმოების განმახორციელებელ ორგანოს წარმოადგენს შესაბამისი ფაკულტეტის ეთიკის კომისია; უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წინააღმდეგ დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულების შესაბამისად შექმნილი ორგანო; სხვა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის (გარდა ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების პერსონალისა) წინააღმდეგ დისციპლინური წარმოების განმახორციელებელ ორგანოს წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ეთიკის კომისია, ხოლო სტუდენტის მიმართ დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო.

3. ფაკულტეტის ეთიკის კომისიას ქმნის შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო, ადმინისტრაციის ეთიკის კომისიას ქმნის უნივერსიტეტის რექტორი. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ეთიკის კომისია იქმნება დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულების შესაბამისად“.

დ) კოდექსის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დისციპლინური წარმოების დაწყება შესაძლებელია უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის), წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სპიკერის, უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, დეკანის, ფაკულტეტის საბჭოს, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის, ამავე ერთეულის სამეცნიერო საბჭოს, სტუდენტური თვითმმართველობის, დისციპლინური ორგანოს, უნივერსიტეტის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სამსახურის, პერსონალის, სტუდენტის, აგრეთვე იმ პირის განცხადების/საჩივრის ან შეტყობინების საფუძველზე, რომელსაც მიაჩნია, რომ პერსონალის ან სტუდენტის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები.“

ე) კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თუ შესაბამისი პერიოდის განმავლობაში პირი არ ჩაიდენს დისციპლინურ დარღვევას, შენიშვნა ძალას კარგავს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 3 (სამი) თვის შემდეგ, საყვედური – 6 (ექვსი) თვის შემდეგ, 10 სამუშაო დღის ხელფასის დაკავება – 9 (ცხრა) თვის შემდეგ, მკაცრი საყვედური – 1 (ერთი) წლის შემდეგ, ხოლო დაბალ ანაზღაურებაზე გადაყვანა ძალას კარგავს ამ სახდელის მოქმედების ვადის გასვლიდან 1 (ერთი) წლის გასვლის შემდეგ.“

2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2017 წლის 30 ივნისის №29 სხდომის

d a d g e n i l e b a №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 30 ივნისის №29 სხდომაზე სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ბექა მაისურაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დამტკიცდეს სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დებულება.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2017 წლის 30 ივნისის №29 სხდომის

d a d g e n i l e b a №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 30 ივნისის №29 სხდომაზე სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ბექა მაისურაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დამტკიცდეს სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დებულება.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2017 წლის 30 ივნისის №29 სხდომის

d a d g e n i l e b a №7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 30 ივნისის №29 სხდომაზე სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ბექა მაისურაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დამტკიცდეს სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2017 წლის 30 ივნისის №29 სხდომის

d a d g e n i l e b a №8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 30 ივნისის №29 სხდომაზე სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. დავით გურგენიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-თან არსებული „ინფრასტრუქტურული პროექტების ზედამხედველების გადამზადებისა და საინჟინრო მომსახურების ცენტრის“ ანგარიშზე შემოსული თანხებიდან ზედნაღები ხარჯის ოდენობის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: ეთხოვოს სტუ-ის ადმინისტრაციას, სტუ-თან არსებული „ინფრასტრუქტურული პროექტების ზედამხედველების გადამზადებისა და საინჟინრო მომსახურების ცენტრის“ ანგარიშზე შემოსული თანხებიდან ზედნაღები ხარჯის პროცენტული ოდენობა სტუ-ისათვის განისაზღვროს 10%-ით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე